ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1804435

ნომერი: AR1294668

თარიღი : 18.03.2015

გაცემის თარიღი : 27.03.2015

გაცნობის თარიღი : 27.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , II შესახვევი N2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ ბაქრაძე პ/ნ 01008002335
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი AR1294668 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას რის საფუძველზე მოხდა ქალაქმშენებლობით პარამეტრების გაზრდა ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა, II შესახვევი N2 (საკ. კოდი 01.14.
11.059.054) და დოკუმენტაციის გამოთხოვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57
დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17
გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“, 2014 წლის 09 ივნისის AR1227164 განცხადების, “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2014 წლის 12
ივნისის #22 სხდომის დასკვნის საფუძველზე, სამსახურის 2014 წლის 30 ივნისის #1333315 წერილით ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა, II შესახვევი N2-ში (საკ. კოდი 01.14.11.059.054) მდებარე ტერიტორიისთვის მოხდა ქალაქმშენებლობითი პარამეტრების
გაზრდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით AR1227164 განაცხადებაზე სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების და თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.

გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი 0 ლარის და 20 თეთრის ოდენობით. აღნიშნული
დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან, შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

დანართი: 4 ფურცელი

გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:
1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი (#AR1294668 18.03.2015წ.)